

კამბოჯაში განხორციელებული გენოციდის გავლენა სამხრეთ-
აღმოსავლეთ აზიის რეგიონალურ უსაფრთხოებაზე

მარიამი მითაიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ნოდია, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი მითაიშვილი; 06/07/2015

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი საკითხი ეხება, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის უსაფრთხოებას და კამბოჯაში არსებულ კონფლიქტს 1975-1979 წლებში. კვლევის მიზანია, მიმოვიხილოთ თუ რა გავლენა იქონია კამბოჯაში რეგიონის უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. რატომ ვერ მოხდა 1975-79 წლების მოვლენის გენოციდად კვალიფიცირება და რა გავლენები ჰქონდა საერთაშორისო ბიპოლარულ სამყაროს შედეგებზე. გარდა ამისა, ნაშრომი შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციას - ASEAN-ს და მიმოვიხილავთ თუ რა როლი ითამაშა მან რეგიონის უსაფრთხოების ჩამოყალიბებაში.

საკვლევი კითხვა შემდეგია: რა გავლენა იქონია კამბოჯაში 1975-79 წლებში განხორციელებულმა გენოციდმა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონულ უსაფრთხოებაზე? ყურადღება გამახვილებული იქნება, რეგიონის სახელმწიფოებს შორის არსებულ განსხვავებებზე. ასევე, ნაშრომში შევეცდები წარმოვდგენა შეიქმნას შემდეგ საკითხებზე: სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის უსაფრთხოება, გენოციდი, კამბოჯას უსაფრთხოება და თავდაცვა, საერთაშორისო სისტემაში არსებული ძლიერი მოთამაშეების გავლენები, რეგიონის სახელმწიფოებს შორის არსებული თანამშრომლობა და კამბოჯას პოლიტიკური მდგომარეობა პოლ პოტის ბატონობის პერიოდში.

ჩატარებული კვლევის შედეგად ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა: კამბოჯის გენოციდმა 1975-79 წლებში უზიძგა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოებს რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებისკენ. ამ შეხედულების დამტკიცებას შევეცდები რეგიონალური უსაფრთხოების კომპლექსური თეორიის მეშვეობით, რომელიც უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებაში, საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ანალიზის დონეებიდან რეგიონალურს იყენებს. მისი საშუალებით ყველა დეტალი - პოლიტიკური, გეოგრაფიული, სამხედრო თუ სოციალური შესწავლილი იქნება და გაანალიზებული. ჩვენს შემთხვევაში, რეგიონში

არსებობდა მტრობის მოდელი, ხოლო კამბოჯის გენოციდის შემდეგ მოხდა ცვლილებები. უსაფრთხოების პოლიტიკაში გაჩენილმა საფრთხეებმა ხელი შეუწყო რეგიონში უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა ცვლადები: დამოუკიდებელი ცვლადი იქნება კამბოჯის გენოციდი; დამოკიდებული ცვლადი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოება და შუალედური, საერთაშორისო სისტემაში არსებული ძლიერი აქტორები, კერძოდ აშშ თავისი საგარეო პოლიტიკით, გაერო და ASEAN-ის ქმედებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: რეგიონი; უსაფრთხოება; კამბოჯა; გენოციდი; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია; რეგიონალური უსაფრთხოების კომპლექსური თეორია

Annotation

Master's thesis deals with the issue of South-East Asia regional security and conflict in Cambodia in the years 1975-1979. The research aims to review the implications of the region's security policy in Cambodia. Why world cannot qualify this fact as genocide and what impact had the international bipolar world with the results of conflict. The thesis will review the Association of South-East Asian Nations - ASEAN- and what role he played in shaping the region's security.

The research question is the following: What impact had the genocide in Cambodia in 1975-79 on the South-East Asian regional security? The focus will be on differences of opinion between the states of the region. I'll try to create the perception about these issues: regional security in South-East Asia, genocide, Cambodia's security and defense policy, the powerful players influence in the international system, cooperation between the states of the region and the political situation in Cambodia in Pol Pot's reign period.

The study has formed the next hypothesis: 1975-79 genocide in Cambodia to provide regional security policy in Southeast Asia. I will try to prove this point of view through the regional security complex theory, which uses a regional level of analysis to examine the security system of the international relations. Theory through about all the details - political, geographical, military and social factors will be analyzed. In our case, there was a model of enmity, but the Cambodian genocide occurred the changes. Threats to security policy have contributed to the region's security policy.

Accordingly, formed variations are: the independent variable will be the Cambodian genocide; Dependent variable - Southeast Asian security and the intermediate variable - the powerful actors in the international system, in particular the USA's foreign policy, the United Nations and ASEAN-'s actions.

Key Words: Region; Security; Cambodia; Genocide; South East Asia; Regional Security Complex Theory

მადლობა

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, პირველ რიგში, დოქტორ გრეგორი სტანტონს. იგი გახლავთ პროფესორი ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში და “Genocide Watch”-ის აღმასრულებელი დირექტორი. რომ არა მისი ყურადღება, ჩემი ნაშრომი ვერ გამდიდრდებოდა მასთან ინტერვიუს წყალობით და მოწოდებული მასალებით. მთელი კვლევის განმავლობაში დოქტორი გრეგორი მეხმარებოდა მასალების ათვისებაში და გაანალიზებაში. ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი ნოდუას გაწეული შრომისთვის.